პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 21 0001191590

05/11/2021

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და "შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის №165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ში (ს/კ: 245445004) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. შევიდეს ცვლილება „შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის №165 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ცხრილი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი**).
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 5 ნოემბრის №1190256 ოქმის მეოთხე საკითხი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 0916	123	153	ქართული	40	ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №67
2	საექთნო განათლება (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში 0913	180	210	ქართული	60	ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №67
3	აღმზრდელი (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 0112	116	146	ქართული	40	ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №67

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).